საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 5 20 00440631

19/02/2020

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის
III-IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
(განყოფილების უფროსი)
ქალბატონ **თეონა ახალაშვილს**

ქალბატონო თეონა,

თქვენი 2020 წლის 12 თებერვლის N60-01200433758 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ განხილული იქნა ქალაქ თბილისში, ტრიკოტაჟის ქუჩა N3 და ნინუას ქუჩა N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.12.12.001.196) ასაშენებელი ქარხნის შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

განხილვის შედეგებით დადგინდა, რომ ქარხნის შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, რომელშიც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2019 წლის 17 დეკემბრის NMIA21903380940 წერილის საფუძველზე შეტანილი იქნა ცვლილება-დამატებები, შეესაბამება სამშენებლო ნორმების და წესების, ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტებით დადგენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.

ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ აუცილებლად მიგვაჩნია მშენებლობის სანებართვო პირობებში ასახული იქნეს შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის საკითხი, რომელთა პროექტები **სამი თვის ვადაში** წარმოდგენილი უნდა იქნეს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში განსახილველად, კერძოდ:

ა) შენობის შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების მოწყობის პროექტი;
ბ) შენობის ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობის პროექტი;
გ) შენობის ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის მოწყობის პროექტი;
დ)შენობის ხანძრის შესახებ მაუწყებლობის, ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემების და ავარიული განათებების მოწყობის პროექტი;
ე) შენობის გათბობა-ვენტილაციის სისტემების მოწყობის პროექტი;
ვ) შენობის ელექტროდანადგარების მოწყობის პროექტი.

პატივისცემით,

საქართველო, 0114, თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №83ა
ტელ: (+995 032) 2 41 44 79
ელ. ფოსტა: cepgeorgia@mia.gov.ge

№83a, V. Gorgasali str. Tbilisi, 0114, Georgia
Tel: (+995 032 2 41 44 79
E-mail: cepgeorgia@mia.gov.ge

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ვარშანიძე როინ



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01200712603**
თარიღი: **11/03/2020**
პინი: **1994**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური“) განიხილა თქვენი 2020 წლის 28 თებერვლის #60-01200593801 წერილი (AR1720056), რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. #3 (ს.კ.: 01.12.12.001.196) (სამრეწველო ზონა 1); სს „ბამბის ნართის“ საკუთრებაში არსებულ სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე, IV კლასის ქარხნის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე, მიწის ნაკვეთის გამწვანების პროექტის შეთანხმებასთან დაკავშირებით, სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში, ტერიტორიაზე არსებული 8 ძირი პირამიდალური კვიპაროსი, 6 ძირი აღმოსავლური ჭადარი და ახალი გამწვანებული სივრცის მოსაწყობად დასარგავი 5 ძირი კავკასიური ცაცხვი, 6 ძირი ჰიმალაის კედარი სრულად ითვისებს კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (160 კვ.მ). გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავების სახეობა (სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) შერჩეულია კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით.

ამდენად, სამსახური თანახმაა არსებული სახით დაამტკიცოს გამწვანების პროექტი.

აქვე დავძენთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის ,,ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოიყენება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისთვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი 21-ე მუხლის მე-5^1 პუნქტი).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი